ხელშეკრულება N02/08
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
CPV: 72700000 - კომპიუტერული ქსელების მომსახურება
CPV: 72720000 - ფართო ქსელების მომსახურება

ქ. თბილისი 30 დეკემბერი 2020 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ,,შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ჯაბა სამუშიას სახით** (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ სსიპ ,,განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი უფროსის დიმიტრი ბერიძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - **განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურების საფასურის დამტკიცების შესახებ"** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 26 იანვრის N19/ნ ბრძანების პირველი მუხლის 1.3 პუნქტის, 1.5 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 1.10 პუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის აპარატის (ორგანიზაციული კოდი 32 05 01 01) **2021 წლის** ასიგნების ფარგლებში, გამოყოფილი სერვერის ჰოსტინგის, ცენტრალური კომპიუტერული ქსელის მომსახურების და საკომუნიკაციო (VOIP) მომსახურების შესყიდვა (**CPV** კოდი: 72700000, 72720000).
1.2. შესყიდვის ობიექტი განსაზღვრულია თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

2.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
2.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.

3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **37860.00** (ოცდაჩვიდმეტი ათას რვაასსამოცი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით ;
3.2. გასაწევი მომსახურების ერთი თვის ღირებულება შეადგენს - **3155.00** (სამი ათას ასორმოცდათხუთმეტი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით;

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება 2021 წლის 01 იანვრიდან - 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4.2. მომსახურების გაწევის ადგილი - ქ. თბილისი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: შემსყიდველის მხრიდან - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი მარინე ხიზანიშვილი, მიმწოდებლის მხრიდან - უფროსის მოადგილე დავით ტატიშვილი ან ქსელური და სისტემური ინფრასტრუქტურის ადმინისტრატორი - როსტომ ნებიერიძე და სისტემური ადმინისტრატორი - გიორგი მეზურნიშვილი.

6. ანგარიშსწორება

6.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

6.2 გაწეული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებელის მიერ მომსახურების გაწევისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

7.2 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია:

- აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.4 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს

გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2021 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
11.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.
11.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში მითითებული პირ(ებ)ი.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.
12.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის გადაწყვეტის მიზნით დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოებს.

13. სხვა პირობები

13.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
13.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთ პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
13.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მის: თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი, N2.
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
ა.ა GE24NB0330100200165022
ს.კოდი: 204578064

მიმწოდებელი
სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა“
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ს/კ 205300048
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიში/სახაზინო კოდი: 707677117

მის.: ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. N1ა

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
გენერალური დირექტორი

ჯაბა სამუშია

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
უფროსი

დიმიტრი ბერიძე

დანართი N1

მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

№	მომსახურების დასახელება	მომსახურების სახე, რაოდენობა	ერთეულის ფასი თვეში (ლარი)	საერთო ფასი 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ფასი (ლარი)
1	გამოყოფილი სერვერის ჰოსტინგი	გამოყოფილი სერვერის ჰოსტინგი მ.შ.: vCore 10 RAM 25 HDD 780	400 375 780	4800 4500 9360
2	ცენრალური კომპიუტერული ქსელის მომსახურება	ცენრალური კომპიუტერული ქსელის მომსახურება	800	9600
3	საკომუნიკაციო ქსელის VoIP მომსახურება	საკომუნიკაციო ქსელის VoIP მომსახურება	800	9600
			ჯამური თანხა თვეში: 3155,00 ლარი	**ჯამური თანხა 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით:** 37860,00

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი

ჯაბა სამუშია

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უფროსი

დიმიტრი ბერიძე

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ხელშეკრულება N02/08

ქ. თბილისი 30 **დეკემბერი 2020 წელი**

სამეცნიერო ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით სსიპ ,,განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა"-თან

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი

ჯაბა სამუშია

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

მალხაზ ხოფერია

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

მარიამ იაშვილი

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი

მარინე ხიზანიშვილი

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი

თინათინ ლომსაძე